

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ბი ემ სი“-ს (ს/ნ 202196426)

პარტნიორობისა და ხელმძღვანელობისა

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ბი ემ სი“-ს (შემდგომში – „კომპანია“) განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებულ შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში “მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ, კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2024 წლის 24 იანვარს და ამდენად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ შევძელით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ები) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ

კომპანიისგან დამოუკიდებლობის ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების“ ჩათვლით) („IESBA კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული

გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი

მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2023 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედრილი და შესაბამისობაში მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედრია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ სქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს

კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა და პარტნიორები პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში

თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებს კლიენტების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის (მსს ფასს) მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე

აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებული ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას და პარტნიორებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც გამოვავლენთ აუდიტის პროცესში.

გარიგების პარტნიორი რომელიც პასუხისმგებელია ამ აუდიტის დასკვნაზე არის

ოთარ ახოზაძე (SARAS-A-117835)

შპს ალტერ-ეგო

თბილისი

საქართველო 2024 წლის 25 სექტემბერი

აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას და პარტნიორებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც გამოვავლენთ აუდიტის პროცესში.

გარიგების პარტნიორი რომელიც პასუხისმგებელია ამ აუდიტის დასკვნაზე არის

ოთარ ახოზაძე (SARAS-A-117835)
შპს ალტერ-ეგო
თბილისი
საქართველო 2024 წლის 25 სექტემბერი



შპს “ბი ემ ესი”, ს/ნ: 202196426

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქ. თბილისი
2024 წ.

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.....	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.....	8
ზოგადი ინფორმაცია	9
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	9
შემოსავლის აღიარება.....	9
ხარჯების აღიარება	9
სხვა ხარჯები	9
უცხოური ვალუტის კონვერტაცია.....	10
სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები.....	10
მოგების გადასახადი.....	10
ძირითადი საშუალებები.....	11
აქტივების გაუფასურება.....	11
იჯარა.....	12
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	12
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	12
სავაჭრო ვალდებულებები	12
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.....	13
1. დივიდენდები	13
2. ამონაგები.....	13
3. არასაოპერაციო ხარჯი.....	13
4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები.....	14
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	14
6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.....	14
7. ძირითადი საშუალებები.....	15
8. არამატერიალური აქტივები.....	15
9. სავაჭრო და მიმდინარე ვალდებულებები.....	16
10. საგადასახადო ვალდებულება.....	16

11.	საწესდებო კაპიტალი.....	16
12.	ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	16
13.	თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოები.....	17
14.	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	17
15.	დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	17
16.	ფუნქციონირებადი საწარმო.....	17
17.	ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	17
18.	მმართველობითი ანგარიშგება	23

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	12.31.2023 წ.	12.31.2022 წ.	12.31.2021 წ.
		ლარი	ლარი	ლარი
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	12	2,417,902.00	319,353.00	489,905.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	15,097,563.00	13,602,512.00	10,462,142.00
წინასწარ გადახდილი თანხები		501,071.00		
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	6	8,085,040.00	5,519,932.00	4,010,179.00
სულ მიმდინარე აქტივები		26,101,576.00	19,441,797.00	14,962,226.00
გრძელვადიანი აქტივები				
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში				
ძირითადი საშუალებები	7	935,294.00	892,538.00	452,818.00
არამატერიალური აქტივები	8	44,192.00	32,997.00	17,988.00
გადავადებული საგადასახადო აქტივი				
სულ გრძელვადიანი აქტივები		979,486.00	925,535.00	470,806.00
სულ აქტივები		27,081,062.00	20,367,332.00	15,433,032.00
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	9	10,887,866.00	7,024,967.00	3,666,487.00
ვალდებულებები და ხარჯების ანარიცხები				
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	10		206,195.00	94,213.00
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის				
დებიტორული დავალიანების ანარიცხი				
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	13		31,998.00	
მიმდინარე სასესო ვალდებულებები			215,841.00	1,736,025.00
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
მიღებული ავანსები				
სხვა ვალდებულებები		43,462.00		128,621.00
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		10,931,328.00	7,479,001.00	5,625,346.00
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესო ვალდებულებები				
გადასახდელი პროცენტი				
ფინანსური იჯარის ვალდებულებები				
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სულ ვალდებულებები		10,931,328.00	7,479,001.00	5,625,346.00
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	2,000.00	2,000.00	2,000.00
	შენიშვნები	12.31.2023 წ.	12.31.2022 წ.	12.31.2021 წ.

		ლარი	ლარი	ლარი
გაუნაწილებელი მოგება		15,896,322.00	12,634,919.00	9,805,686.00
გადაფასების რეზერვი		251,412.00	251,412.00	
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი		16,149,734.00	12,888,331.00	9,807,686.00
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		27,081,062.00	20,367,332.00	15,433,032.00

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი
გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

გიორგი გორდამე _____
(პ/ნ: 01005003603)

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნები	2023 წ.	2022 წ.	2021 წ.
		ლარი	ლარი	ლარი
ამონაგები	2	59,296,674.00	46,143,695.00	35,764,800.00
სხვა შემოსავალი				
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2	13,642.00	106,250.00	111,614.00
სულ შემოსავალი		59,310,316.00	46,249,945.00	35,876,414.00
ცვლილებები სასაქონლო- მატერიალურ ფასეულობებში: მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება				
გამოყენებული ნედლეული და მასალები	6	(33,253,159.00)	(27,848,640.00)	(21,607,885.00)
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამჯელოები	13	(6,187,926.00)	(4,478,392.00)	(3,391,956.00)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	7	(177,612.00)	(5,444.00)	(99,374.00)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება				
იჯარის ხარჯი		(768,306.00)	(583,003.00)	(575,881.00)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	4	(15,576,465.00)	(10,379,319.00)	(7,799,077.00)
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი				
სულ საოპერაციო ხარჯები		(55,963,468.00)	(43,294,798.00)	(33,474,173.00)
საპროცენტო ხარჯები		(12,173.00)	(40,735.00)	(149,623.00)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(243,752.00)	(17,811.00)	(9,688.00)
სულ არასაოპერაციო ხარჯები	3	(255,925.00)	(58,546.00)	(159,311.00)
წლის მოგება/ზარალი(დაბეგვრამდე)		3,090,923.00	2,896,601.00	2,242,930.00
მოგების გადასახადის ხარჯი				
წმინდა მოგება/ზარალი (მიმდინარე წლის მოგება)		3,090,923.00	2,896,601.00	2,242,930.00
წმინდა მოგება/ზარალი წლის დასაწყისში		12,886,331.00	9,805,686.00	7,562,756.00
კორექტირება		(80,932.00)		
გადაფასება		251,412.00	251,412.00	
დივიდენდები	1		(67,368.00)	
წმინდა მოგება წლის ბოლოს		16,147,734.00	12,886,331.00	9,805,686.00

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი
გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

გიორგი გორდაძე _____
(პ/ნ: 01005003603)

შპს “ზი ემ ესი”, ს/ნ: 202196426

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2023 წ. ლარი	2022 წ. ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		52,887,465.00	41,466,989.00
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(44,822,268.00)	(35,254,374.00)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები		8,065,197.00	6,212,615.00
გადახდილი პროცენტები		(9,998.00)	(40,735.00)
გადახდილი მოგების გადასახადი			
გადახდილი სხვა გადასახადები		(5,589,967.00)	(4,532,126.00)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		2,465,232.00	1,639,754.00
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით			
ძირითადი საშუალების შეძენა		(133,245.00)	(205,970.00)
ძირითადი საშუალების მშენებლობა/რემონტი			
მანქანა დანადგარების გაყიდვიდან მიღებული თანხები			
მიღებული პროცენტები			
მიღებული დივიდენდები			
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(133,245.00)	(205,970.00)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად			
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან		-	-
შემოსულობანი მოკლევადიანი სესხებიდან		2,389,669.00	8,497,505.00
სესხის გადახდა		(2,626,771.00)	(10,003,158.00)
გადახდილი დივიდენდები			(64,000.00)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		(237,102.00)	(1,569,653.00)
სავალუტო კურსის ეფექტი		3,664.00	(34,683.00)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		2,098,549.00	(170,552.00)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	12	319,353.00	489,905.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	12	2,417,902.00	319,353.00

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

გიორგი გორდაძე _____
(პ/ნ: 01005003603)

შპს “ზი ემ ესი”, ს/ნ: 202196426

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,000.00			7,562,756.00	7,564,756.00
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება				2,242,930.00	2,242,930.00
გაცემული დივიდენდი					-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000.00	-	-	9,805,686.00	9,807,686.00
ქონების გადაფასებით მიღებული ნამეტი			251,412.00		251,412.00
ინვესტიციების გადაფასებით მიღებული ნამეტი					-
სხვა ცვლილება					-
მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში აუდიარებელი წმინდა შემოსულობანი და ზარალი					-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება				2,896,601.00	2,896,601.00
გაცემული დივიდენდი				(67,368.00)	(67,368.00)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000.00	-	251,412.00	12,634,919.00	12,888,331.00
ქონების გადაფასებით მიღებული ნამეტი				-	-
ინვესტიციების გადაფასებით მიღებული ნამეტი					-
სხვა ცვლილება				170,480.00	170,480.00
მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში აუდიარებელი წმინდა შემოსულობანი და ზარალი					-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება				3,090,923.00	3,090,923.00
გაცემული დივიდენდი					-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000.00	-	251,412.00	15,896,322.00	16,149,734.00

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი
გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 25 სექტემბერს.

დირექტორი:

გიორგი გორდაძე _____
(კ/ნ: 01005003603)

ზოგადი ინფორმაცია

„ბი ემ ესი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2002 წლის 12 ივნისს. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. №106, ფაქტიური: თბილისი, გურამიშვილის გამზირი №64. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ჰიგიენური საშუალებებით საბითუმო ვაჭრობა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში - ლარში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოძინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

სხვა ხარჯები

კომპანია აღიარებს მოთხოვნებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე, რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა / (ზარალი). არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯს და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-15 შენიშვნა). მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები საქართველოში წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება იმ პერიოდის ვალდებულებებსა და ხარჯებში, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, თუ რა თარიღში ან რომელი პერიოდისთვის ხდება დივიდენდების გადახდა. კონკრეტულ გარემოებებში შესაძლებელია გადასახდელი მოგების გადასახადში გამოქვითვების განხორციელება, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებით მოგების გადასახადის ხარჯის შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება. კომპანიის პარტნიორებისთვის გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება ხდება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მათი აღიარება ხდება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები	და 15-20 % პროცენტი
მოწყობილობა:	
ავტომაქსანები	15-20 % პროცენტი
ავეჯი და ინვენტარი	20% პროცენტი
არამატერიალური აქტივები	15% პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივის ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

